

შპს ალბანი
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური
ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში (ლარი)				
	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017	1.1.2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	2	2,923,763	1,963,096	1,165,927
არამატერიალური აქტივები	3	28,669	34,177	40,276
		2,952,432	1,997,273	1,206,203
მოკლევადიანი აქტივები				
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	4	192,843	155,894	142,901
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	1,794,529	1,602,579	1,330,664
გადახდილი ავანსები		68,219	264,589	14,345
მარაგები	6	376,981	534,342	226,681
		2,432,573	2,557,403	1,714,591
მთლიანი აქტივები		5,385,005	4,554,676	2,920,794
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		230,448	362,694	70,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3,796,453	2,553,650	1,400,890
		4,026,901	2,916,344	1,470,890

ვალდებულებები

გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიანი სესხები	7	221,383	488,687	477,836
ანარიცხები		-	-	-
გადავადებული შემოსავალი	8	16,898	16,898	14,571
		238,282	505,585	492,407

მოკლევადიანი ვალდებულებები

მოკლევადიანი სესხები	7	286	-	29,493
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	781,270	878,850	553,271
საგადასახადო ვალდებულებები	9	338,266	253,896	371,205
გადასახდელი პროცენტი		-	-	3,527
გადასახდელი დივიდენდი		-	-	-
		1,119,822	1,132,746	957,497
მთლიანი ვალდებულებები		1,358,104	1,638,332	1,449,904
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		5,385,005	4,554,676	2,920,794

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარი)			
	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
ამონაგები	10	11,101,504	9,575,899
განეული მომსახურების და გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(8,112,266)	(6,850,200)
საერთო მოგება		2,989,238	2,725,699
სხვა შემოსავლები	11	19,503	40,231
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(1,365,372)	(1,216,433)
მიწოდების დანახარჯები		(43,575)	(38,598)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	12	(302)	1,923
სხვა ხარჯები	13	(48,871)	(227,873)
საოპერაციო მოგება		1,550,622	1,284,948
ფინანსური შემოსავალი	14	1,240	1,576
ფინანსური ხარჯი	14	(49,543)	(64,201)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(48,303)	(62,625)
მოგება დაბეგვრამდე		1,502,319	1,222,323
მოგების გადასახადი		(4,406)	(4,770)

განგრძობითი ოპერაციებიდან მიღებული მოგება მოცემული წლისთვის		1,497,913	1,217,552
შენწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული ზარალი მოცემული წლისთვის	15	(352)	(2,481)
წმინდა მოგება		1,497,560	1,215,072
სხვა სრული შემოსავალი:			
მთლიანი სრული შემოსავალი		1,497,560	1,215,072

ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ლარი)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება		1,497,560	1,215,072
<i>კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:</i>		475,238	571,059
- მოგების გადასახადი		4,406	4,770
- ცვეთა	2/3	420,450	315,620
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	13	2,905	197,665
- მარაგების გაუფასურება	13	-	-
- ძირითადი საშუალებების გაუფასურება	13	-	-
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	11/15	(1,128)	(7,689)
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	12	302	(1,923)
- წმინდა ფინანსური ხარჯი	14	48,303	62,625
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		145,664	(583,678)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	1,514	(578,627)
- მარაგები	6	157,361	(307,661)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	(97,580)	237,880

- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	9	84,369	62,403
- გადავადებული შემოსავალი		-	2,327
- ანარიცხები	13	-	-
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		2,118,462	1,202,453
- მიღებული პროცენტი	14	1,240	1,576
- გადახდილი პროცენტები	14	(49,543)	(67,729)
- გადახდილი მოგების გადასახადი		(4,406)	(184,032)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		2,065,753	952,268
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
- ძირითადი საშუალებების შეძენა	2/3	(1,381,373)	(1,158,308)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	2/3	7,258	7,394
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,374,115)	(1,150,914)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			

- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)		(132,246)	292,694
- სასესხო ვალდებულების ზრდა (შემცირება)	8	(267,017)	(18,642)
- გადახდილი დივიდენდები		(254,758)	(62,312)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(654,021)	211,740
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)		37,617	13,094
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი		155,893	142,901
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამომწვეული ცვლილება		(668)	(102)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი		192,843	155,893

საკუთარი კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარი)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 1 იანვარი	70,000	1,400,890	1,470,890
წმინდა მოგება	-	1,215,072	1,215,072
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	1,215,072	1,215,072
გაცემული დივიდენდი	-	(62,312)	(62,312)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	292,694		292,694
წინა პერიოდის შეცდომების კორექტირება	-		
2017 წლის 31 დეკემბერი	362,694	2,553,650	2,916,344
წმინდა მოგება	-	1,497,560	1,497,560
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	1,497,560	1,497,560
გაცემული დივიდენდი	-	(254,758)	(254,758)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(149,926)		(149,926)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	17,680		17,680
2018 წლის 31 დეკემბერი	230,448	3,789,494	4,026,901

1 ზოგადი ინფორმაცია

(ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრებზე მოქმედი ფაქტორები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ ერთმანეთისგან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(ბ) ორგანიზაცია და ოპერაციები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „ალგანის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ ანგარიშგებას. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად და მისი რეგისტრაციის ნომერია: **2/4-4215**. შპს „ალგანი“ დაფუძნდა 2004 წლის 10 დეკემბერს და კომერციული საქმიანობა 2004 წლის 10 დეკემბერს დაიწყო. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გიორგი სააკაძის II გასასვლელი N8.

შპს „ალგანის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე კერძო დაცვითი საქმიანობის განცხორციელება.

2 მომზადების საფუძვლები

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის სრულ შესაბამისობაში. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი), რომელიც წარმოადგენს კომპანიის წარსადგენ ვალუტას და კომპანიის სამუშაო ვალუტას.

3 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა, მომგებიანობა, ფულადი ნაკადები, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

4 შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

მსს ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

სააღრიცხვო შეფასების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები, აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომელთაც აქვთ ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, აღწერილია შემდეგ შენიშვნებში:

5 შემოსავალი

ა) ამონაგები

კომპანიის მთავარ ამონაგების წყაროს წარმოადგენს დაცვის მომსახურების განწევა და ამ მომსახურებასთან დაკავშირებული საქონლის რეალიზაცია. დაცვის მომსახურების განწევა ხდება განუსაზღვრელი რაოდენობის მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ამიტომ, კომპანია ამონაგებს აღიარებს თანაბარზომიერად (წრფივი მეთოდით), მომსახურების განწევის მთელი პერიოდის განმავლობაში. ამონაგების აღიარდება ხდება იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია გასწევს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში, თუ შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება და თუ სავარაუდოა, რომ კომპანია მიიღებს ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკური სარგებელს. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით, გაყიდვასთან დაკავშირებული გადასახადებისა და ფასდაკლებების გამოკლებით.

კომპანიის მიერ საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- (ა) კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- (ბ) კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- (დ) მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და
- (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე განეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის განსაზღვრული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ბ) საპროცენტო სარგებელი

კომპანია, სხვა საწარმოს მიერ მისი აქტივების გამოყენებიდან მიღებული სარგებლს, როგორცაა პროცენტი, აღიარებს ამონაგებად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით თუ მოსალოდნელია ოპერაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში; და შესაძლებელია ამონაგების სიდიდის საიმედოდ შეფასება. კომპანია საპროცენტო შემოსავალს იღებს საბანკო ანგარიშებზე განთავსებული სადეპოზიტო ანგარიშებიდან.

6 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ბარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ბარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება მარაგების გაუფასურება, რისთვისაც მარაგების თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ბარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ბარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ბარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ბარალის აღიარება. გაუფასურების ბარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ბარალში.

7 იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ბარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

8 განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის განსაზღვრავს მომავალთან დაკავშირებით გამოყენებულ ძირითად დაშვებების და აგრეთვე საანგარიშგებო თარიღისათვის განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებულ სხვა ძირითად წყაროებს, რომელთა გამოც არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების რისკი მომდევნო ფინანსურ წელს. კომპანია განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები შეიძლება შეეხოს, მოსალოდნელი სავალუტო კურსის მერყეობით გამოწვეული კრედიტორული და დებიტორული ვალდებულების ცვლილებას.

9 იურიდიული ვალდებულებები

შპს "ალგანს" ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში არა აქვს რაიმე სახის იურიდიული ვალდებულება და სამართლებრივი დავა.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა: 2

ძირითადი საშუალებები

	მინის ნაკვეთები	შენობები	მონყობილობები და დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება	370,530	546,894	405,043	1,099,822	536,461	2,958,751
დაგროვილი ცვეთა	-	(61,699)	(375,368)	(361,140)	(197,448)	(995,655)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2017	370,530	485,195	29,675	738,683	339,013	1,963,096
შემოსვლა	-	587,496	96,465	685,917	122,898	1,492,777
გასვლა*	-	-	(67,071)	(188,754)	(10,252)	(266,077)
შიდა გადაადგილება	-	-	-	-	-	-
გაუფასურება	-	-	-	-	-	-
ცვეთა	-	56,411	42,859	(235,604)	(129,699)	(266,033)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2018	370,530	1,129,101	101,928	1,000,243	321,961	2,923,763
თვითღირებულება	370,530	1,134,390	434,437	1,596,986	649,107	4,185,450
დაგროვილი ცვეთა	-	(5,289)	(332,509)	(596,743)	(327,146)	(1,261,687)

ძირითადი საშუალების ერთეულების შეფასება ხდება შემდეგნაირად:

თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილებით მათი წინასწარ შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. მიწას აქვს სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადა და შესაბამისად, მას ცვეთა არ ერიცხება. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების სხვა ერთეულების წინასწარ შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

- შენობები 7, 10 და 50 წელი (შენობები მოიცავს კომპანიის მფლობელობაში არსებულ შენობა ნაგებობებს და ჩვეულებრივი იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობისათვის კაპიტალიზებულ ხარჯებს. კეთილმოწყობას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით. სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 7 წელს. კეთილმოწყობის ცვეთის ხარჯის აღიარება ხდება სხვა დანარჩენი შენობებისგან განცალკევებით წრფივი მეთოდით (1608 ლ). შენობები მოიცავს ასევე ღობეს, რომელსაც სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრული აქვს 10 წელი (304 ლ).
- მოწყობილობები და დანადგარები 5 წელი
- ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა 5 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები 4 წელი

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები წარმოდგენდა კომპანიის მიერ აღებული საბანკო იპოთეკური სესხის უზრუნველყოფას (შენიშვნა 7).

* ძირითადი საშუალებების გასვლა დაკავშირებულია მათი ეკონომიკური სარგებლის მიღების ამოწურვასთან, ან ძირითადი საშუალების გაყიდვასთან. გაყიდვისას ძირითად საშუალებებს ჩაუტარდათ გაუფასურების ტესტირება. გაუფასურების შემთხვევაში, გაუფასურება აღიარებულია გაუფასურების ზარალის სახით. ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები. ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული თანხები ასახულია საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაზე, თუ იგი უზრუნველყოფს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. მოხსნილი ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები განეწესთანავე აისახება მოგება-ზარალში.

შენიშვნა 3

არამატერიალური აქტივები (ლარი)

	ლიცენზიები	პატენტები	პროგრამული უზრუნველყოფა	აუდიო-ვიდეო პროდუქცია	სულ
თვითღირებულება	37,120	997	34,305	8,706	81,128
დაგროვილი ამორტიზაცია	(27,120)	(751)	(13,276)	(5,804)	(46,951)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2017	10,000	245	21,029	2,902	34,177
შემოსვლა	-	-	1,930	2,414	4,344
გასვლა					
გაუფასურება					
ცვეთა	(3,712)	(100)	(1,930)	(4,109)	(9,851)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2018	6,288	145	21,029	1,207	28,669
თვითღირებულება	33,408	997	36,236	11,119	81,760
დაგროვილი ამორტიზაცია	(27,120)	(851)	(15,206)	(9,913)	(53,091)

არამატერიალური აქტივები, შეფასებულია თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულება განაწილებულია მათ სასარგებლო მომსახურების ვადებზე, ამორტიზაციის წრფივი მეთოდის გამოყენებით.

არამატერიალური აქტივების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

- ლიცენზიები 10 წელი
- პატენტები 10 წელი
- პროგრამული უზრუნველყოფა 10 წელი
- აუდიო-ვიდეო პროდუქცია 3 წელი
- სხვა არამატერიალური აქტივები 10 წელი

შენიშვნა 4

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2018	2017
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	97,843	141,894
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები	95,000	14,000
სულ	192,843	155,894

შენიშვნა 5

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2018	2017
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	1,790,547	1,598,369
საგადასახადო მოთხოვნა	350	350
სხვა მოკლე ვადიანი მოთხოვნები	3,633	3,860
სულ	1,794,529	1,602,579

შპს ალგანის გაყიდვების უმეტესობა ხორციელდება ჩვეულებრივი მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით. სავაჭრო მოთხოვნები ასეთ გაყიდვებთან დაკავშირებით ფასდება მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით. იმ გაყიდვების შემთხვევაში, რომელთა პირობები სცდება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნები თავდაპირველად ფასდება მომავალში მისაღები ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით, ხოლო შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. სავაჭრო მოთხოვნების აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს:

- მევალის მხრიდან ვადაგადაცილება ან საერთოდ უარის თქმა ვალის დაფარვაზე;
- კომპანიის მხრიდან ვადადამდგარი მოთხოვნების რესტრუქტურისა ისეთი პირობით, რომ კომპანია სხვაგვარად არ განსაზღვრავს;
- ნიშნები იმისა, რომ მოვალე გაკოტრდება;
- ეკონომიკური პირობები, რომელიც გადაუხდელობას იწვევს ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიამ აღიარა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი 2,905 ლარის ოდენობით (2017 წელს 197,655 ლარი). იხ. შენიშვნა 13.

შენიშვნა 6

მარაგები

	2018	2017
ნედლეული და მასალები	234,270	452,039
მზა პროდუქცია	142,712	82,303
სულ	376,981	534,342

მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. რეალიზებული და გასული საქონლის თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი“ მეთოდით. მარაგების ღირებულება ყოველი წლის ბოლოს გადაიხედება და, თუკი სავარაუდოა, რომ მარაგები მათ თვითღირებულებაზე დაბალი ფასით გაიყიდება, ხდება მარაგების გაუფასურება პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე.

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის - მზა პროდუქცია თვითღირებულებამ შეადგინა 462,168 ლარი (2017 წელს 356,323 ლარი).

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის მომსახურების განწევა ითვალისწინებს სამონტაჟო მომსახურებას, რომლის დროსაც გამოიყენება ნედლეული და მასალები, გამოყენებული ნედლეული და მასალები ჩამოიწერება.

ისეთი მარაგების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ჩადებულია გირაოში, როგორც ვალდებულებების უზრუნველყოფა შეადგენს 0 ლარს (2017 წელს 0 ლარი).

მარაგების გაუფასურების ზარალის, ან გაუფასურების ზარალის აღდგენის აღიარებას და ასახვას მოგებაში ან ზარალში ადგილი არ ქონია (2017 წელს 0 ლარი).

შენიშვნა 7

სესხები

	2018	2017
გრძელვადიანი		
საბანკო სესხები	221,383	488,687
	221,383	488,687
მოკლევადიანი		
საბანკო სესხები	286	-
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	-	-
	286	-
სულ სესხები	221,670	488,687

გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები წარმოადგენენ საბანკო სესხებს, რომლებიც დენომინირებულია ლარში. გრძელვადიანი სესხის დაფარვის ვადაა 2022 წლის 28 აპრილი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 13,5% (2017 წელს 13,5%). საწარმოს დაწესებული არ აქვს რაიმე სახის შეზღუდვები, რომლის თანახმადაც საჭიროა ფინანსური დაწესებულების თანხმობა კაპიტალური ინვესტიციების განსახორციელებლად. გრძელვადიანი საბანკო სესხი უზრუნველყოფილია საწარმოს ძირითადი საშუალებებით (შენიშვნა 2).

მოკლევადიანი საბანკო სესხი არ არის უზრუნველყოფილი. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 11%-ს (2017 წელს 11%).

შენიშვნა 8

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2018	2017
სავაჭრო ვალდებულებები	144,181	303,931
ჩვეულებრივი საიჯარო ვალდებულება	25,259	22,154
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 16)	18,707	27,344
თანამშრომლებზე გადასახდელი ხელფასები და პრემიები	592,697	500,178
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	426	25,244
სულ	781,270	878,850

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შენიშვნა 9

საგადასახადო ვალდებულებები

	2018	2017
გადასახდელი მოგების გადასახადი - განაწილებული მოგება	-	-
გადასახდელი მოგების გადასახადი - სხვა	(272,725)	(219,073)
საშემოსავლო გადასახადები	(65,834)	(44,069)
დღგ	294	9,245
ქონების გადასახადი	-	-
სულ	(338,266)	(253,896)

შენიშვნა 10

ამონაგები

	2018	2017
მომსახურების განწევა	10,451,641	9,066,003
საქონლის გაყიდვა	649,863	509,896
სულ	11,101,504	9,575,899

შენიშვნა 11**სხვა შემოსავალი**

	2018	2017
შემოსავალი ჯარიმებიდან	18,144	30,184
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	1,359	10,047
სულ	19,503	40,231

შენიშვნა 12**სხვა შემოსულობა/(ზარალი) - წმინდა**

	2018	2017
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(302)	1,923
სულ	(302)	1,923

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აისახება ოპერაციის განხორციელების თარიღისათვის ვალუტის კურსის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსის შესაბამისად. ფულადი აქტივები და ვალდებულებები ნომინირებული უცხოურ ვალუტაში გადაიანგარიშება ლარებში გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც დადგენილია ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. ფინანსური შედეგი საკურსო სხვაობიდან აღიარება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როცა წარმოიქმნა.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი: 31.12.2018, 2,6766 ლარო/1 აშშ დოლარი და 31.12.2017 თარიღისთვის 2.5922 ლარ/1 აშშ დოლარი.

შენიშვნა 13**სხვა ხარჯები**

	2018	2017
მოგების გადასახადი - სხვა	(20,920)	(11,737)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	(2,905)	(197,655)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(25,046)	(18,482)
სულ	(48,871)	(227,874)

შენიშვნა 14**ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები**

<i>ფინანსური დანახარჯები</i>	2018	2017
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(49,543)	(64,201)
სულ ფინანსური დანახარჯები	(49,543)	(64,201)

ფინანსური შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	1,240	1,576
სულ ფინანსური შემოსავალი	1,240	1,576

ნეტო ფინანსური შემოსავალი/(დანახარჯები)	(48,303)	(62,625)
--	-----------------	-----------------

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და
აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

შენიშვნა 15

შენწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული ბარალი მოცემული წლისთვის

	2018	2017
ბარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	(352)	(2,481)
სულ	7,246	2,481

შენიშვნა 16

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საწარმოს წილის მესაკუთრეებს წარმოადგენენ ბატონი ალექსანდრე გაგნიძე - 50
%, ბატონი გრიგოლ ნემსაძე - 50 % (წილის მმართველი მანანა აბაშიძე პ/ნ
01024041081 (50%)).

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

მომსახურების შეძენა:

	2018	2017
<i>მომსახურების შეძენა</i>		
ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმოსთვის ჩვეულებრივი იჯარით უძრავი და	(14,490)	(65,749)
მოდრავი ქონების სარგებლობის უფლების გადაცემა		
სულ	(14,490)	(65,749)

ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმოსგან მომსახურების შეძენა
მოხდა საბაზრო პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

	2018	2017
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 8)		
ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმოსთვის ჩვეულებრივი იჯარით უძრავი და მოძრავი ქონების სარგებლობის უფლების გადაცემა	18,707	27,344
სულ	18,707	27,344

დაკავშირებული მხარეებისადმი ვალდებულება გადასახდელია მომსახურების შეძენიდან 2 თვის ვადაში. ვალდებულებას არ ერიცხება საპროცენტო ხარჯები.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2018	2017
შრომის ანაზღაურება მთლიანად	(82,797)	(71,046)
სულ	(82,797)	(71,046)

შენიშვნა 17

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის საბჭოს მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს.